



თანამედროვე დელფური თამაშები

კულტურათა საერთაშორისო დიალოგი

ოლიმპიური იდეა მთელ მსოფლიოში სპორტით დაინტერესებულ ადამიანებს აკავშირებს, დელფური თამაშები კი ხელოვნების მოყვარულ, ყველა ერისა და კულტურის თანამედროვე წარმომადგენელს.

მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე დაფუძნებული დელფური თამაშები კულტურათა დიალოგს ემსახურება. ხელოვნების განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ისინი თავაზობენ საერთაშორისო სცენას, სადაც მათ შესაძლებლობა ეძლევათ წარმოაჩინონ საკუთარი კულტურა და შემოქმედება. დელფური თამაშები ხელს უწყობენ, კულტურისა და ხელოვნების არა მარტო განვითარებას, არამედ კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის დაცვასაც.

ეროვნულ და ეთნიკურ თვითმყოფადობაზე დაყრდნობით დელფური თამაშები, ემსახურებიან ფუნდამენტურ ჰუმანისტურ ფასეულობათა დამკვიდრებას და ხელს უწყობს ერთა თვითგამორკვევას, კულტურებს შორის დიალოგისა და საერთაშორისო მშვიდობის მისიის განვითარებას.

ანტიკიდან დღევანდლობამდე

ძველ საბერძნეთში, დელფოსში თითქმის 1000 წლის მანძილზე იმართებოდა პითიური თამაშები. ახალი წელთაღრიცხვის 394 წლამდე მათ, როგორც ერთერთ უმნიშვნელოვანეს დღესასწაულს, ყოველწლიურად აწყობდნენ ოლიმპიური თამაშების წინ. ოლიმპიურ თამაშებზე ფიზიკური შესაძლებლობები პირველ ადგილზე იდგა, დელფური თამაშები კი შემოქმედებით შეჯიბრს ეძღვნებოდნენ. მათ ძველ საბერძნეთში იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ, რომ თამაშების მიმდინარეობისას, ქვეყანაში საომარი ვითარებებიც კი რეგულირდებოდა.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების შემოღებიდან 100 წლის შემდეგ, 1994 წელს, ქალაქ ბერლინში შედგა საერთაშორისო დელფური საბჭო. მის წარმომადგენლობაში შევიდნენ ი. ქრისტინ ბ. ქირშის მიერ მოწვეული ადამიანები 18 ქვეყნიდან. ეს მოვლენა საერთაშორისო დელფური მოძრაობის დაბადების თარიღად იქცა.

საერთაშორისო დელფური საბჭო (სდს)

კულტურის საერთაშორისო ორგანიზაცია

სდს - წარმოადგენს დელფური მოძრაობის უმაღლეს ორგანოს.

სდს - ის წევრები არიან ეროვნული დელფური საბჭოს, კულტურისა და ხელოვნების, განათლების, ეკონომიკის, სხვადასხვა კავშირებისა და გაერთიანებების, ინსტიტუციების წარმომადგენლები. ხელმძღვანელობის ორგანოდ ითვლება მისი 12 წევრისაგან შემდგარი მმართველობა, რომელსაც ანტიკური ტრადიციით ამფიკტიონია ეწოდება.

სდს - ის უმთავრეს ამოცანას შეადგენს, საერთაშორისო დელფური მოძრაობის გაძლიერება და როგორც მოზარდთა, ასევე ახალგაზრდული დელფური თამაშების რეგულარული მოწყობა.

დელფური ელჩები და, მათ შორის, ისეთი ცნობილი ფიგურა, როგორც ნელსონ მანდელაა, მხარს უჭერენ საერთაშორისო დელფური საბჭოს მოღვაწეობას.

დელფური თამაშების ტრადიციის აღდგენით, მოიძებნა შესანიშნავი შესაძლებლობები განსხვავებული კულტურის ადამიანების ტოლერანტულობისა და ურთიერთგაგების გზაზე შესახვედრად. ეს ინიციატივა ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანაქმედების იდეალისა და უნივერსალური დიალოგის გასამართავად.

კოიხირო მაგურა
იუნესკოს გენერალური დირექტორი
2000 წლის მასი

მე არ შემძლია, ბერძნულზე უკეთესი შეჯიბრების მოდელი წარმოვიდგინო. ისინი სხეულის, გონების და სულის სიფაქიზეს ცხოვრების გაუყოფელ საკურთხეველზე ათავსებდნენ. თქვენს მიზნებს და ახალ იმპულსებს ჩემგან დიდი აპლოდისმენტები.

ლორდი იეგული მენუხინი
მუსიკოსი და დირჟორი
1997 წლის აპრილი

მე დიდი ინტერესით გავეცანი თქვენს ინიციატივას დელფური თამაშების განახლებასთან დაკავშირებით და მხარს ვუჭერ მას... გისურვებთ დიდ წარმატებებს, ამ რთულ, მაგრამ ცხოვრებისთვის აუცილებელ გზაზე.

მიხეილ გორბაჩოვი
სსსრ-ის პრეზიდენტი
1996 წლის თებერვალი

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა რომ, „შეუწყვეტლად მოლაპარაკე“ კასტალიური წყარო არ დამშრალა და არსებობენ ადამიანები, რომლებსაც მისი ხმა ესმით.

კონსტანტინოს ლეფასი
ქალაქ დელფის მერი
1994 წლის დეკემბერი



**INTERNATIONAL
DELPHIC COUNCIL**
Linking Arts & Cultures



The Games

დელფური თამაშები

განაცხადის წარდგენა დელფურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად ხდება საერთაშორისო დელფური საბჭოს (სდს) მიერ შედგენილი წესების მიხედვით. მასში მონაწილეობის მიღება მსოფლიოში ყველა რეგიონსა და ქვეყანას შეუძლია

სდს-ის თამაშების საერთაშორისო კომისია აცხადებს მასპინძელ ქვეყანას არჩეულ კანდიდატებს შორის და შემდეგ მასპინძელი ქვეყნის **ორგანიზაციის კომიტეტთან** ერთად (ორგკომი) იღებს გადაწყვეტილებებს თამაშების გამართვასთან და ჩატარებასთან დაკავშირებით.

მასპინძელი ქვეყნის **ორგკომი**, **სდს**-თან ერთად აკონტროლებს სხვადასხვა მოსამზადებელ სამუშაოს, როგორც დროის განაწილებას, ასევე ფინანსური გეგმის შედგენის თვალსაზრისით.

სდს-ის მედიის საერთაშორისო კომისია შეიმუშავებს კონცეფციებს თამაშების პოპულარიზაციისა და მათი მედიისთვის წარსადგენად.

სდს-ის ხელოვნების საერთაშორისო კომისია დელფური თამაშების მასპინძელი ქვეყანასთან ერთად. განსაზღვრავს თამაშების პროგრამას და არჩევს საკონკურსო დისციპლინებს. ხელოვნების დელფური კატეგორიები განსაზღვრავენ თამაშების სპეციფიკას. ხელოვნების კომისია შეიმუშავებს რეკომენდაციებს მხატვრული შეფასების კრიტერიუმებთან და ჟიურის წევრების შერჩევასთან დაკავშირებით.

სდს-ის კულტურის დაცვის საერთაშორისო კომისია შეიმუშავებს კონცეფციებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით.

ჟიურის წევრები შეირჩევიან ეროვნულ და საერთაშორისო ხელოვანთა კავშირების, კონკურსების, ფესტივალების და არტ-აგენტურების წარმომადგენლობებიდან. ჟიურის წევრებად ასევე იწვევენ ექსპერტებს ხელოვნების აკადემიებიდან, უნივერსიტეტებიდან და სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, ასევე ხელოვანთ, რომელთაც შესაფასებელ დისციპლინაში საერთაშორისო აღიარებას მიაღწიეს. ხელოვნების ცალკეული დისციპლინები ასევე შეფასდება აუდიტორიის და მედიის ექსპერტების მიერ, მასპინძელ ქვეყანაში, ამისთვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობის არსებობის შემთხვევაში.

დელფური თამაშების მოწყობა უნდა ეთანხმებოდეს სდს-ს ხელმძღვანელობის პრინციპებს და მის კანონმდებლობას. როგორც თამაშები, ასევე მათი გამართვის წესებიც მუდმივად ვითარდება და, ამასთანავე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხდება მათი მისადაგება მასპინძელი ქვეყნისთვის.

დელფური თამაშების მონაწილენი შეირჩევიან ეროვნული ან სხვა სახის ნომინირების შედეგად, სდს-ის პირობათა გათვალისწინებით. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეიძლება პროფესიით ხელოვან ადამიანებს და ხელოვნების და კულტურის დამსახურებულ წარმომადგენლებს.

ახალგაზრდული თამაშებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ახალგაზრდებს 14-28 წლამდე, ისინი შეიძლება იყვნენ, როგორც თვითნასწავლი, ისე ხელოვნების რომელიმე ფაკულტეტის სტუდენტები და ასევე ხელოვნების სფეროში პროფესიული გამოცდილების მქონე ადამიანები.

ჩატარებული დელფური თამაშები

- 1997 - I დელფური თამაშები მოზარდათა შორის 1997.
თბილისი/საქართველო.
„მშვენიერი დღე“.
- 2000 - I დელფური თამაშები 2000.
მოსკოვი/რუსეთი.
„ახალი ათასწლეული“.
- 2003 - II დელფური თამაშები მოზარდათა შორის 2003.
დუსელდორფი/გერმანია.
„შემოქმედება და მშვიდობა“.
- 2005 - II დელფური თამაშები 2005.
ქუბინგი/მალაიზია.
„მივიწყებული ტრადიციების თავიდან დაბადება“.
- 2007 - III დელფური თამაშები მოზარდათათვის 2007.
ბაგიო/ ფილიპინები.
„ხელოვნებისა და კულტურის მომავლის ხიდი ბავშვებისთვის!“.
- 2009 - III დელფური თამაშები 2009.
ჯეჯუ/ სამხრეთ კორეა.
„პარმონიაში ბუნებასთან“.

თანამედროვე დელფური თამაშების ექვსი ხელოვნების კატეგორია

- **აკუსტიკური ხელოვნება:** ინსტრუმენტული და ელექტრონული მუსიკა, ვოკალი...
- **საშემსრულებლო ხელოვნება:** ცეკვა, თეატრი, ცირკი, თოჯინების თეატრი...
- **სასაუბრო ხელოვნება:** ლიტერატურა, რიტორიკული გამოსვლა, მოხსენება, ზღაპარი, მოდერაცია (წამყვანი)...
- **სახვითი ხელოვნება:** ფერწერა/გრაფიკა/ინსტალაცია, ფოტოგრაფია/კინო, არქიტექტურა, დიზაინი, მოდა და ხელსაქმე...
- **სოციალური ხელოვნება:** კომუნიკაცია, ინტერნეტი, მასმედია, პედაგოგიკა და დიდაქტიკა...
- **ეკოლოგიური ხელოვნება:** ქალაქისა და გამწვანების დაგეგმარება, ძეგლთა და ნაგებობათა დაცვა და მოვლა...



The Games

დელფური თამაშების სპეციფიკა

დელფური თამაშების სიმბოლო გახლავთ გვერდი-გვერდ განლაგებული, ერთმანეთზე გადაბმული ექვსფეროვანი ნახევარკალი. ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, იასამნისფერი და წითელი ნახევარგოლები თეთრ ფონზე. ისინი განასახიერებენ ექვსი დელფური ხელოვნების სახეობათა კავშირს.

დელფური პოეტი – დელფურ თამაშებზე აგრძელებს იმ ტრადიციას, რომელსაც საფუძველი ძველმა ბერძენმა პოეტმა, მაშინდელი დელფური თამაშების მემკვიდრე პინდარმა ჩაუყარა. მასპინძელ ქვეყანაში შეირჩევა ერთ-ერთი მწერალი, ან პუბლიცისტი, რომელიც ქვეყანაში დელფური თამაშების მნიშვნელობისა და იდეის პოპულარიზაციას და მისი მსვლელობის ქრონოლოგიურ ასახვას მოახდენს.

კასტალიის წყაროს წლის რიტუალი - წყალი თანამედროვე დელფური თამაშების სიმბოლო გახლავთ და მას ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ღონისძიებისთვის, როგორც ცეცხლს ოლიმპიური თამაშებისთვის. დელფური თამაშების დაწყებამდე ექვსი თვით ადრე მასპინძელი ქვეყნიდან სპეციალურად შერჩეული დელეგაცია მიემგზავრება დელფოსში, რომ რიტუალის თანახმად, კასტალიის წყაროდან წამოღებული წყალი დელფური თამაშების მასპინძელ ქვეყანაში ჩაიტანოს თამაშების გახსნის ცერემონიალისთვის. დელფური თამაშების გახსნისას ჩატარებულ წყლის რიტუალს სიმბოლოურად მისი წარმოშობის სათავეებთან მივყავართ, საბერძნეთში, დელფოსის აპოლონის ტაძარში, პარნასის მთის ძირას, კასტალიის წყაროსთან, რომელიც აპოლონსა და მუზებს ეძღვნებოდათ. ეს წყარო ერთგვარი რიტუალური განზანის ადგილი გახლდათ ორაკულის სამყოფელში ომფალოსის კულტის სანახავად მოსული ადამიანებისვის საუკუნეების განავლობაში, დედამიწის ჭიპად წოდებული დელფოსში.

კულტურის საერთაშორისო ფორუმი იმართება თამაშების დახურვიდან სამი დღით ადრე. ეროვნული და საერთაშორისო კულტურის, ხელოვნების, განათლების, მედიის, პოლიტიკის და ბიზნესის წარმომადგენლები იკრიბებიან ერთად, რათა მომავალი თანაქმედების და თანამშრომლობის გეგმები დასახონ. კულტურის საერთაშორისო ფორუმის დასასრულად, დელფური თამაშების გახსნის ცერემონიაში მონაწილეობის მიღება ითვლება.

გახსნის ცერემონიას წარმოადგენენ მასპინძელი ქვეყნის ხელოვნების და კულტურის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები, რომელთა საშუალებით წარმოჩინდება დასახელებული ქვეყნის შემოქმედება, დროის სული, ტრადიციული და კულტურული ფასეულობები.

მიღებულია დელფური თამაშებში მონაწილეობის შემდეგი ფორმები:

- *შემოქმედებითი კონკურსი ხელოვნების იმ სფეროებში, რომლებიც ხელოვანს საშუალებას აძლევს, თავიანთი შემოქმედება ყიურისა და აუდიტორიის წინაშე წარმოაჩინოს;*
 - *ამ სფეროებში ხელოვანები კონკურსში მონაწილეობას სხვადასხვა პრეზენტაციებისა და გამოფენების ფორმით მიიღებენ;*
 - *ხელოვნებისა და კულტურის სფეროში, ბოლო 4 წლის განმავლობაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი დოკუმენტური ფილმების კონკურსი;*
- დელფური თამაშები** ასევე ითვალისწინებს არტ-ფორუმების, სხვადასხვა სახის დისკუსიების, ასევე კონკურსგარეშე შემოქმედებითი გამოსვლების და გალაკონცერტების ჩატარებას.

აგორა - აგვარებს საინფორმაციო პრეს-ცენტრისა და თამაშის მონაწილეთა შეხვედრის ორგანიზების საკითხებს.

დელფური თამაშების დახურვის ცერემონიას ამზადებს მასპინძელი ქვეყანა. მასში ნაჩვენებია იგი მასში აჩვენებს მიმდინარე კონკურსის ძირითად შემოქმედებით მიღწევებს და ასრულებს დელფურ თამაშებს საერთო ზეიმით.

დელფური ჯილდოები

მედალები

ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო შესაბამისი საკონკურსო ნომრებისთვის

ლირა


მთლიანი ხელოვნების ნიმუშის ერთერთი წარმატებული შემადგენელი ნაწილისთვის

დაფნის რტო

ცალკეული შემოქმედებითი მიღწევებისთვის

სიგელი

დელფური თამაშების ყველა აქტიური მონაწილისათვის



დამატებით ინფორმაციას დელფური თამაშების საბჭოსა და თამაშებში მონაწილეობის მიღების პირობების შესახებ მოიპოვებთ ვებსაიტზე:

www.delphic-games.com

გაწევრიანების, ჰოსტინგის, სპონსორობისა და თანამშრომლობის საკითხებზე მოგვმართეთ:

International Delphic Council
Head Office
Berliner Str. 19A
13189 Berlin
GERMANY
Tel. (+49) 30/47 30 01 71
Fax (+49) 30/47 30 01 73